

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N016/13<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

*სოფიკო ჩიხრაძე (სტუდენტი)*

### **შეკითხვა:**

ადვოკატი ერთდროულად იცავდა ორი პირის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებიც ერთ დანაშაულში იყვნენ ბრალდებულნი. ერთ-ერთმა ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, ხოლო მეორემ არა. დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს, იმ შემთხვევაში, თუ ის გააგრძელებს ორივე ბრალდებულის ინტერესების დაცვას?

### **ანალიზი:**

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირი ადვოკატს გაანდობს საქმის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაციას. ამ დროიდანვე წარმოიშობა პროფესიული ნორმების დაცვის ვალდებულება, რაც შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მხრიდან პროფესიული რჩევის გაცემისაგან თავის შეკავებას ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში. ნახსენები ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას, თუ კი ადვოკატი ერთ საქმეში წარმოადგენს ორ ან მეტ პირს თანადროულად. ხოლო პროცესის მიმდინარეობისას, კლიენტთა წარმომადგენლობის ვალდებულებები ურთიერთსაწინააღმდეგო ხდება. ინტერესთა კონფლიქტის ნათელ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ, სისხლის სამართლის პროცესში ორი ბრალდებული პირის პოზიციის წარმოდგენისას, ერთ-ერთი კლიენტის მიერ დანაშაულის აღიარება. მოცემულმა დაპირისპირებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას. ამ გარემოებაში კი შეუძლებელი ხდება ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის სრულყოფილად და დამოუკიდებლად განხორციელება. ადვოკატი ვალდებული ხდება შეწყვიტოს ორივე კლიენტის ინტერესების დაცვა, როდესაც კლიენტთა ურთიერთგანსხვავებული პოზიციები ქმნის კონფიდენციალურობის ხელყოფის საფრთხეს.

### **დასკვნა:**

ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ანდაც მისი წარმოქმნის საფრთხის შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია უარი განაცხადოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ზიანი მიადგეს, როგორც კონფიდენციალურობას, ასევე ადვოკატის მიმართ ნდობის არსებობას.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c91edb629aca.pdf/22%20November%202013%20016.13.pdf>